Visegrad Fund

MENDELU
Faculty of Regional Development and International Studies

მოხარულები ვართ, მოგიწვიოთ საგანმანათლებლო ვორქშოფზე თემაზე: **„საქართველოს სოფლის მეურნეობის მოკლე მიწოდების ჯაჭვების განვითარების პერსპექტივები“**

თარიღი: 09.06.2026
დრო: 11:00სთ
ადგილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიერებებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი, ოთახი 212

ღონისძიებას, რომლის მიზანია თანამედროვე მიდგომების დანერგვა სოფლის მეურნეობაში, ცოდნის გაზიარება და საქართველოში მოკლე მიწოდების ჯაჭვების (SFSCs) განვითარების შესაძლებლობების შესწავლა, ორგანიზებას უწევს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

პროექტის შესახებ:

მცირე საოჯახო მეურნეობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სოფლის ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერაში. თუმცა, დღევანდელი საბაზრო პირობების პირობებში მათ არაერთი გამოწვევა აქვთ, მათ შორის: გლობალური მიწოდების ჯაჭვებზე დამოკიდებულება, ბაზარზე შეზღუდული წვდომა და დაბალი მოგების მარჟა.

ვორქშოფის ფარგლებში მონაწილეები განიხილავენ **საქართველოს სოფლის რეგიონებში მოკლე მიწოდების ჯაჭვების განვითარების პერსპექტივებს**, მათ როლს ადგილობრივი წარმოების სისტემების გაძლიერებაში, ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესებაში, საოჯახო ფერმების მხარდაჭერასა და მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის პირდაპირი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

ვორქშოფზე წარმოდგენილი იქნება საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება, წარმატებული პრაქტიკის მაგალითები და ინოვაციური მიდგომები.
ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები და მოწვეული ექსპერტები.

პროფ. ნინო ჩხარტიშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია:
ელფოსტა: n_chkhartishvili@gtu.ge
ტელ: +995 591307474